ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1938 წ. მარტის 19 № 8 თბილისი.

შინაარსი

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

27. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 30 მუხლის გაუქმების შესახებ.

28. იმ სახლების საიჯარო ქირის შესახებ, რომლებიც იჯარით გადაეცემა სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

29. სასაკიდარო გამოსაღების გადახდევინების აკრძალვის შესახებ.

30. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

31. მედიკამენტებით და სხვა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის გაფართოების და გაუმჯობესების შესახებ.

32. 1938 წლისათვის რძის, კარაქისა და ყველის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესახებ.

33. 1938 წლისათვის კოლმეურნეობათა საშემოსავლო ფულადი გადასახადის შესახებ.

34. სამასწავლებლო მუშაობისაგან დაწყებითი სკოლების გამგეთა განთავისუფლების შესახებ.

35. წვრილი ყალიბის იარაღის გაყიდვის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

27. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 30 მუხლის გაუქმების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 7 მაისის დადგენილებისა „სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატასთან არსებულ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის დებულების შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 30 მუხლი.

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. იანვრის 11. № 31.
თბილისი.

661

28. იმ სახლების საიჯარო ქირის შესახებ, რომლებიც იჯარით გადაეცემა სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს.

განსავითარებლად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314), საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივი საბჭოების კუთვნილი იმ პატარა სახლების (საცხოვრებელი ფართობით არაუმეტეს 60 კვადრატული მეტრისა) საიჯარო ქირას, რომლებსაც ისინი ცალკეულ მოქალაქეთა სარგებლობაში გადასცემენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტიპიური ხელშეკრულების (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 74, მუხ. 361) საფუძველზე, აწესებენ საქალაქო საბჭოები და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები იმ ოდენობით, რაც ფარავს სახლის ამორტიზაციის ღირებულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი სამშენებლო ღირებულების პროცენტებს, ამასთან აღნიშნული პროცენტების ოდენობა განისაზღვრება სახლის შემოსავლიანობის და იმ ვალდებულებათა მიხედვით, რომლებიც დაკისრებული აქვს მოიჯარადრეებს რემონტის მხრივ, მაგრამ ეს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10% წლიურად.

2. იმ სახლების საიჯარო ქირას, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოები გადასცემენ სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სარგებლობაში, გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა მუხ. 8 „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314) ამ დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა ჩასასახლებლად, აწესებენ საქალაქო საბჭოები და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები იმ ოდენობით, რაც დაფარავს სახლის ამორტიზაციის ღირებულებას, ამასთან მათ ენიჭებათ უფლება შეამცირონ საიჯარო ქირა და ამ ქირისაგან გაანთავისუფლონ კიდეც ის სახლთმფლობელობანი, რომელთა ხარჯები აღემატება მათ შემოსავალს, რაც გამოიანგარიშება საცხოვრებელი ფართობის ერთეულზე. როდესაც შემოსავალი ფართობის ერთეულზე გამოანგარიშებით მნიშვნელოვნად სჭარბობს გასავალს, საქალაქო საბჭოებსა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ენიჭებათ გადაახდევინონ, საამორტიზაციო ანარიცხთა გარდა, აგრეთვე სახლის სამშენებლო ღირებულების პროცენტებიც.

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 18 აგვისტოს დადგენილება „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ შენობათა საიჯარო ქირის განაკვეთების სანიმუშო დიფერენცირებული შკალის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 18, მუხ. 192), აგრეთვე გაუქმდეს მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მუხ. 4 „ა“, „ბ“, „გ“) პუნქტების ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივი ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ (ა.კ. სუსრ კან. კრ. 1937 წ. № 12, მუხ. 140).

საქ. სსრ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ც.ა.კ-ის მდივნის მ.ა. **ვ. ბუჯიაშვილი.**

1938 წ. თებერვლის 17. № 247/186.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

732.9

29. სასაკიდარო გამოსაღების გადახდევინების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აიკრძალოს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ზედატანისამოსის შენახვისათვის მომსვლელებისაგან საფასურის (სასაკიდარო გამოსაღების) გადახდევინება თეატრებში, ცირკებში და სანახაობათა ყველა ადგილებში, რესტორანებსა და სხვა დაწესებულებებში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 262.
თბილისი.

894
932

30. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 თებერვლის № 110 დადგენლიებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

2. აღნიშნული ინსტრუქცია შემოღებულ იქნას სამოქმედოთ 1938 წლის 1 იანვრიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 270.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

I. მიმართვა პენსიის დანიშვნის შესახებ.

1. განცხადება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიის დანიშვნის შესახებ (ინვალიდობის, მოხუცებულობის, წელთნამსახურობის გამო, შრომის გმირებისათვის და ოჯახის მარჩენალის დაკარგვის გამ ი) შეიტანება წერილობითი სახით უშუალოდ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებაში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადების მიღებისას, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეავსებს პენსიონერის პირად ბარათს, რომელშიაც აღნიშნავს, თუ რომელ საწარმოში, დაწესებულებაში და რა დროის განმავლობაში უმუშავნია დაზღვეულს და აძლევს ხელწერილს განცხადების მიღების დროს აღნიშვნით. ეს თარიღი ითვლება პენსიისათვის მიმართვის დღედ. თუ განცხადება ფოსტით იქნა გაგზავნილი, მაშინ პენსიისათვის მიმართვის დღედ ჩაითვლება გაგზავნის ადგილის საფოსტო შტემპელის თარიღი.

2. იმ პირებმა, რომლებიც პენსიისათვის მიმართავენ, უნდა წარადგინონ კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, აგრეთვე წარადგინონ პასპორტი გაწერის ადგილის აღნიშვნით.

3. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი ვალდებული არიან მისცენ განმარტებები და ცნობები პენსიების დანიშვნის საკითხებზე, აგრეთვე ხელი შეუწყონ განმცხადებელს საჭირო დოკუმენტების მიღებაში, რისთვისაც სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სათანადო დოკუმენტები საწარმოებს, დაწესებულებებს და ცალკეულ პირებს.

4. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენსიის დანიშვნა დამოკიდებულია ინვალიდობის გამორკვევაზე. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება განმცხადებელს შესამოწმებლად ჰგზავნის საექიმო—შრომის საექსპერტო კომისიაში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

II. შრომის სტაჟის გამორკვევა.

5. პენსიის დანიშვნისათვის საჭირო შრომის სტაჟი გამორკვევა დოკუმენტებით.

დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში შრომის სტაჟი დადასტურებულ უნდა იქნას სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოწმეთა ჩვენებებისა და სხვა ცნობების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. თვითეული განცხადების მიხედვით, რომელსაც პენსიების დამნიშვნელი კომისია განიხილავს, სდგება ოქმი. ოქმში შეიტანება ცნობები სტაჟის შესახებ, რომლებიც განმცხადებელმა და მოწმეებმა მისცეს, ამასთან ამ ჩვენებებს ხელს აწერენ ისინი თვით ოქმზე.

ოქმში აგრეთვე შეიტანება კომისიის დადგენილება იმის აღნიშვნით, თუ რომელ საწარმოსა და დაწესებულებაში მუშაობდა დაზღვეული, რა დროიდან რა დრომდე, რა სამუშაოზე და შრომის რა სტაჟი ითვლება საერთოდ დადასტურებულად.

III. პენსიის დანიშვნა.

7. პენსიებს ნიშნავენ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო და სარაიონო განყოფილებებთან მოწყობილი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე და კომისიის წევრები—პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენელი და საქალაქო ან სარაიონო საბჭოს წევრი ან და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. კომისიის გადაწყვეტილებანი პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა დაამტკიცონ რაიონულმა საბჭოებმა, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა არა აქვთ,—საქალაქო საბჭოებმა პენსიების დამნიშვნელი კომისიის წარდგენით.

8. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი მოვალენი არიან გადასჭრან პენსიის დანიშვნის საკითხები ათი დღის ვადაში ყველა საჭირო დოკუმენტის (საექიმო—შრომის საექსპორტო კომისიის გადაწყვეტილების ჩათვლით) მიღების მომენტიდან.

რაიონული ან საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის ან პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ უნდა აცნობოს განმცხადებელს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან ხუთი დღის განმავლობაში.

9. პენსიონერს, რომელსაც პენსია დაენიშნა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გაუფორმებს პირად ბარათს და მისცემს საპენსიო მოწმობას.

ყველა დოკუმენტი, რომელთა საფუძველზე პენსია დაინიშნა, რჩება სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებაში და ინახება პენსიონერის საპენსიო საქმეში. ამ დოკუმენტებზე პენსიის დანიშვნისთანავე დაისმება შტამპი „პენსია დაენიშნა“.

განმცხადებელს, რომელსაც პენსიის დანიშვნაზე უარი ეთქვა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება აძლევს ცნობას პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ უარის მიზეზებისა და განსაჩივრების წესის აღნიშვნით (10—11 მუხლები) და იმავდროულად დაუბრუნებს ყველა დოკუმენტს მათზე შტამპის დასმით „პენსიის მიცემაზე უარი ეთქვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. პენსიების დანიშვნის საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება.

10. საქალაქო საბჭოს ან რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება პენსიის დანიშვნის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში ან აჭარის და აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში, კუთვნილებისამებრ.

აჭარის და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დადგენილებანი საბოლოოა.

11. საჩივარი პენსიის მიუცემლობაზე განხილულ უნდა იქნას არა უგვიანეს ათი დღის ვადისა მისი შემოტანის დღიდან. საჩივრის განხილვის შედეგზე განმცხადებელს უნდა გაეგზავნოს ცნობა ხუთი დღის ვადაში საჩივრის გამო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

V. პენსიების გაცემა.

12. იმ პენსიონერებს, რომლებიც დაქირავებით არ მუშაობენ, პენსიებს მისცემენ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებანი ფოსტის საშუალებით.

13. იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერი შევიდა სახელმწიფო დაწესებულებაში ან საწარმოში, კოოპერატიულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში სამუშაოდ, იგი ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს ეს სოციალური უზრუნველყოფის იმ განყოფილებას, რომლისგანაც იგი პენსიას იღებს.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, მიიღებს რა ცნობას პენსიონერის მიერ მუშაობის დაწყების შესახებ, შეაჩერებს მისთვის პენსიის მიცემას და იმ საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც პენსიონერი მუშაობს, უგზავნის ცნობას იმ პენსიის რაოდენობის შესახებ, რომელსაც პენსიონერი ღებულობს. პენსიის შემდგომ გაცემას აწარმოებს საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია პენსიონერის ხელფასის გათვალისწინებით.

იმ პენსიონერებს, რომლებიც დაქირავებით მუშაობენ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პენსიას აძლევენ პროფკავშირები მუშაობის იდგილის მიხედვით საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით სადაზღვეო შენატანების ანგარიშში.

პენსიონერის დათხოვნის შესახებ, ადმინისტრაციამ უნდა აცნობოს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო განყოფილებას.

14. იმ პენსიონერებს, რომლებიც კერძო დამქირავებლებთან მუშაობენ. (შინამოსამსახურეები და სხვ.), პენსიები მიეცემათ იმავე წესით, როგორც არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავე პენსიონერებს, მაგრამ ხელფასის მხედველობაში მიღებით, რისთვისაც პენსიონერი ვალდებულია ყოველთვიურად წარუდგინოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს ცნობა ხელფასის შესახებ.

15. სხვა ქალაქში ან რაიონში ახალ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას, პენსიონერმა უნდა განუცხადოს სოციალური უზრუნველყოფის იმ განყოფილებას, რომელიც მას პენსიას აძლევს. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება პენსიონერს მოხსნის აღრიცხვიდან, მისცემს მას პენსიას აღრიცხვიდან მოხსნის დღემდე და ცნობას („ატესტატს") აღრიცხვიდან, მოხსნისა და იმის შესახებ, თუ რა დრომდე მიეცა მას პენსია.

იმ პენსიონერებს, რომლებიც დროებით მიდიან სხვა ადგილას (სამკურნალოდ, ოჯახური პირობების და სხვ. გამო), პენსიები მიეცემათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მინდობილობით) არაუმეტეს სამი თვისა.

16. ახალ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას პენსიონერი უნდა აღირიცხოს სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ დაუყონებლივ უნდა მოითხოვოს პენსიონერის წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან მისი პირადი ბარათი, ხოლო თუ პენსიონერი აღრიცხვიდან არ მოხსნილა, მაშინ ცნობაც („ატესტატი") პენსიის უკანასკნელად მიცემის შესახებ.

17. პენსიონერის პირადი ბარათის და ცნობის („ატესტატის") მიღებისთანავე პენსიის მიცემა განახლდება იმ რიცხვიდან, რომელ რიცხვამდეც პენსია მიეცა წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

926

31. მედიკამენტებით და სხვა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის გაფართოების და გაუმჯობესების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 16 ნოემბრის დადგენილებისა „მედიკამენტებით და სხვა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის გაფართოებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 76, მუხ. 366), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემის მოვაჭრე ორგანიზაციებს (საქვაჭრობა, თბილვაჭრობა, აჭარვაჭრობა, აფხაზვაჭრობა, ა/კ. სამხედრო ოლქის სამხვაჭრობა, შინსახკომის სავაჭრო-საწარმოო სამმართველო, საქკურორტმარაგვაჭრობა, "სოიუზუნივერმაგი", „სოიუზგალანტერეიტორგი") მოაწყონ ქალაქებში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 16 ნოემბრის (სსრკ კან.

კრ. 1937 წ. № 75, მუხ. 366) დადგენილების დანართში ჩამოთვლილი უმარტივესი მედიკამენტებით და სხვა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობა სამრეწველო-სასაქონლო, საგალანტერიო და საპარფიუმერიო მაღაზიებში და უნივერმაღების სპეციალურ სექციებში და ცეკავშირის—სოფლად-მაღაზიათა სპეციალურ სექციებში.

2. წინადადება მიეცეს საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს შეუდგნენ მედიკამენტებით და სხვა სააფთიაქო საქონლით ვაჭრობას სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მაღაზიებში არაუგვიანეს 1938 წ. 20 მარტისა, ამასთან აღნიშნული ვადისთვის დაამთავრონ მთელი ორგანიზაციული მუშაობა, იმ მხრივ, რომ განსაზღვრონ ის მაღაზიები, რომლებშიაც იწარმოებს მედიკამენტებით ვაჭრობა, გამოჰყონ დახლის მუშაკები და წარუდგინონ საქ. სსრ ჯანსახკომს განაცხადები სააფთიაქო საქონლის საჭირო ასორტიმენტზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს ხუთი დღის ვადაში შეიმუშაოს სახელძღვანელო-ცნობარი დახლის მუშაკებისათვის, რომლებიც ეწევიან მედიკამენტებით ვაჭრობას.

4. დაევალოს საქ. სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ ჯანსახკომს მოაწყონ დახლის მუშაკებისათვის ორდეკადიანი კურსები სავალდებულო ტექმინიმუმის ჩასაბარებლად, უმარტივესი მედიკამენტების შენახვისა და გაყიდვის იმ წესების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ჯანსახკომის მიერ.

5. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებმა დახლის მუშაკთა მომზადება ჩაატარონ სავაჭრო საწარმოების ადგილსამყოფელის მიხედვით (რაიონული კურსები) წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. ამასთან დაევალოს საქ. სსრ ჯანსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველჰყონ სპეციალისტთა გამოყოფა ტექმინიმუმის ჩასატარებლად მედიკამენტების შენახვისა და გაყიდვის წესების და მათი გამოყენების საშუალებათა საკითხებზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანსახკომს და მის ადგილობრივ ორგანოებს დააწესონ სისტემატური კონტროლი იმაზე, რომ სავაჭრო ქსელმა შეასრულოს სააფთიაქო საქონლის შენახვისა და გაყიდვის წესები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 278
თბილისი.

32. 1938 წლისათვის რძის, კარაქისა და ყველის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 15 თებერვლის № 59 დადგენილებისა „1938 წლისათვის რძის და კარაქის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1938 წლისათვის რძის, კარაქისა და ყველის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა 50.000 ცენტნერის რაოდენობით (რძით), აქედან: საქყველტრესტის სისტემის ხაზით 45.000 ცენტნერი და ცეკავშირის ხაზით—5.000 ცენტნერი შემდეგი განაწილებით ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის და რაიონების მიხედვით, თანახმად № 1 დანართისა.

2. დაწესდეს, რომ საქყველტრესტი ანხორციელებს რძის, კარაქისა და ყველის სახელმწიფო შესყიდვას იმ რაიონებში, რომლებშიაც მისი საწარმოები ეწევიან რძის მიღებას სავალდებულო ჩაბარებათა წესით, ცეკავშირის სისტემა კი რძის, კარაქისა და ყველის სახელმწიფო შესყიდვას ანხორციელებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სადაც იგი ეწევა რძის მიღებას სავალდებულო ჩაბარებათა წესით, ხოლო კარაქისა და ყველის შესყიდვას კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან—ყველგან, გარდა მოუხდელი რძის რაიონებისა.

იმის გამო, რომ საქყველტრესტს არ მოეპოება სათანადო დამამზადებელი ქსელი, დაეკალოს ცეკავშირს ჩაატაროს რძის, კარაქის და ყველის შესყიდვა საქყველტრესტთან ერთად საკომისიო საფუძველზე, კერძოდ, რძის, კარაქის და ყველის შესყიდვა კოლმეურნეობებისაგან—სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონებში, რაც ჩაითვალოს სახელმწიფო შესყიდვის რესპუბლიკური გეგმის შესრულებაში საქყველტრესტის სისტემის ხაზით.

3. დაწესდეს, რომ რძის, ყველის და კარაქის სახელმწიფო შესყიდვა ხდება რძის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებასთან ერთად.

4. ნება დაერთოს დამამზადებლებს კოლმეურნეობებთან რძის, კარაქის და ყველის დამზადებაზე ხელშეკრულებათა დადების დროს:

ა) მისცენ კოლმეურნეობებს ავანსები წინდაწინ 3-4 თვის ვადით იმ რძის, კარაქისა და ყველის ღირებულების 50% ოდენობით, რომელიც ჩაბარებულ უნდა იქნას ხელშეკრულების მიხედვით;

ბ) მისცენ პრემია-დანამატები იმ კოლმეურნეობებს, რომლებმაც ერთი ძროხიდან გაჰყიდეს (სავალდებულო ჩაბარების გარდა) 150 ლიტრაზე მეტი რძე—შესასყიდი ფასის 10% თვითეულ ლიტრში 150-ის ზევით და 20%-თვითეულ ლიტრში 200-ის ზევით;

გ) მიჰყიდონ კოლმეურნეობებს საწარმოო მნიშვნელობის აუცილებელი საქონელი, თანახმად № 2 დანართისა, კოლმეურნეობებისაგან შესყიდული რძის ღირებულების 25% რაოდენობით.

საქონლის გაყიდვის იმ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია დამამზადებლებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში, დაეკისროს ცეკავშირს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 293.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

წლიური გეგმა

რძის სახელმწიფო შესყიდვისა (რძის ერთეულები) ცენტნერებში

რაიონები	საქყველტრესტის სისტემის ხაზით	ცეკავშირის სისტემის ხაზით	სულ
ახალქალაქის	5700	350	6050
ბოგდანოვკის	5500	300	5800
ახალციხის	—	40	40
ხაშურის	—	30	30
გორის	—	20	20
კასპის	—	20	20
ბორჯომის	500	—	500
გურჯაანის	—	50	50
სიღნაღის	750	30	780
თელავის	650	100	750
ყვარელის	—	60	60
ლაგოდეხის	—	50	50
თბილისის	9000	—	9000
ყარაიას	500	—	500
ბორჩალოს	—	200	200
ლუქსემბურგის	—	140	140
წალკის	6500	470	6970
დუშეთის	750	120	870
აღბულაღის	1750	—	1750
საგარეჯოს	1200	—	1200
ბაშკიჩეთის	6500	280	6780
თიანეთის	500	100	600
ყაზბეგის	200	50	250
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლ.	5000	250	5250
ქუთაისი	—	120	120

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	საკუთრესტრის სისტემის ხაზით	ცენტრის სისტემის ხაზით	სულ
სამტრედიის	—	180	180
წულუკიძის	—	100	100
ვანის	—	30	30
ბაღდადის	—	20	20
ზესტაფონის	—	60	60
ჩხარის	—	20	20
ჭიათურის	—	40	40
ორჯონიკიძის	—	20	20
ტყიბულის	—	20	20
ონის	—	100	100
ამბროლაურის	—	20	20
ცაგერის	—	20	20
აბაშის	—	60	60
ცხაკაიას	—	60	60
გეგეჭკორის	—	100	100
ზუგდიდის	—	340	340
ხობის	—	90	90
წალენჯიხის	—	20	20
ჩხოროწყუს	—	40	40
მახარაძის	—	40	40
ლანჩხუთის	—	20	20
ჩოხატაურის	—	20	20
აბხაზეთის ასსრ („აბსოიუზი")	—	500	500
აჭარის ასსრ	—	300	300
სულ რესპუბლიკაში	**45.000**	**5.000**	**50.000**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

ს ი ა

იმ საქონლისა, რომელიც გამოყოფილია კოლმეურნეობებზე მისასყიდად 1938 წელს რძისა და კარაქის შესყიდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

1. ავტომანქანები.
2. ავტოსაფარები კამერებით.
3. ველოსიპედები
4. ველოსაფარები კამერებით.
5. რძისსაზომები.
6. მათარები, ბიდონები, გავზაკები, საწველელები და ვედროები.
7. საწურები.
8. სამურველები და ჯაგრისები პირუტყვის გასაწმენდად.
9. სპეციალური ასორტიმენტის ბამბის ქსოვილი (ნარმა, მიტკალი, ჩითი, თავსაკრავები, პირსახოცები).
10. მარლა.
11. ბრეზენტები პლაშჩებისათვის.
12. ტყავფეხსაცმელის საქონელი.
13. აკაზმულობის ნაწარმი.
14. თოკი.
15. სამეურნეო ჯაჭვები.
16. ლურსმნები სამშენებლო და ნალის.
17. ხარისხოვანი რკინა.
18. სახურავი რკინა.
19. რკინის მავთული.
20. ფანჯრის მინა.
21. ტოლი.
22. საკერავი მანქანები.
23. პატეფონები პლასტინკებით.
24. ძვლის ფქვილი.
25. ქატო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. 1938 წლისათვის კოლმეურნეობათა საშემოსავლო ფულადი გადასახადის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 23 თებერვლის № 80 დადგენილებისა „1938 წლისათვის კოლმეურნეობათა საშემოსავლო ფულადი გადასახადის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობანი, რომლებმაც დააგვიანეს 1937 წლის წლიური ანგარიშების შედგენა, 1938 წლის საშემოსავლო ფულად გადასახადს იხდიან პირველი ვადით—1938 წლის 1 მარტისათვის 1937 წლის საშემოსავლო ფულადი გადასახადის განაკვეთის 20% რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინსახკომს, ყველა რაიაღმასკომებს და რაიფინგანებს, როდესაც კოლმეურნეობანი გადაიხდიან გადასახადს მეორე ვადით 1938 წლის 1 ივნისისათვის—მოახდინონ გადაანგარიშება, რათა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ორივე ვადის მიხედვით კოლმეურნეობებმა შეიტანონ 1938 წლის გადასახადის წლიური განაკვეთის კანონით დაწესებული 30%.

3. წინადადება მიეცეს ყველა რაიაღმასკომს, რაიმიწგანებს და მტს-ების დირექტორებს უზრუნველჰყონ კოლმეურნეობათა 1937 წლის ყველა ანგარიშის წარდგენა რაიფინგანყოფილებისათვის არაუგვიანეს 1938 წ. 15 მარტისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 295.
თბილისი.

912.21

---

34. სამასწავლებლო მუშაობისაგან დაწყებითი სკოლების გამგეთა განთავისუფლების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 იანვრის დადგენილებისა „რსფსრ-ის დაწყებითი და საშუალო სკოლების საადმინისტრაციო ძომსახურე პერსონალის შტატების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო 1937 წ. 10 ოქტომბრის დადგენილების შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს გაანთავისუფლოს დაწყებითი სკოლების გამგეები სამასწავლებლო მუშაობისაგან იმ სკოლებში, რომლებსაც აქვთ არანაკლებ 8 კლასისა, მოსწავლეთა რაოდენობით 320 კაცამდე (მოსწავლეთა საშუალო დატვირთვით).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 4. № 297.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

057.42

35. წვრილი ყალიბის იარაღის გაყიდვის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 15 თებერვლის № 170 დადგენილებისა „წვრილი ყალიბის შაშხანების გაყიდვის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს წვრილი ყალიბის შაშხანების გაყიდვა დაწესებულებებსა, საწარმოებსა, ორგანიზაციებსა, სასწავლებლებსა და მოქალაქეებზე მხოლოდ შინსახკომის (მუშურ-გლეხური მილიციის) წინასწარი ნებართვით.

2. ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან წვრილი ყალიბის შაშხანების უკანონოდ შენახვასა, ყიდვასა და გასაღებაში, მიცემულ იქნან პასუხისგებაში საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202 მუხლის თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. **რ. ჭელიძე.**

1938 წ. მარტის 11. № 337.
თბილისი.

ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1938 წ. № 13 პ/მ. რედაქტორი ი. შელეგია

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 20/III 1938 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად. 10/IV ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 2013 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართ. სტამბა, თბილისი. დაკვ. № 305